№ 255 1 ოქტომბრის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, ნოემბრის 10 1920 წ

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83

სახელმწ. თეატრი.

10 ოქტომბერს პირველად განახლების შემდეგ.

ა ლ ი

11 ნოემბერს

აბესალომ და ეთერი

12 ნოემბერს მიხ. მორდკინის საბალეტო სალამო.

კ ო პ ე ლ ი ა

13 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის.

ტ ა ი ს ი

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, ნოემბრის 11-ს.

ო ტ ე ლ ო შექსპირისა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. რეჟისორი აკაკი ფალავა.

შაბათს, ნოემბრის 13-ს **მსხვერპლი**— ი. ვედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისერი ალ. წუწუნავა.

ბილეთები კასაში. 971. 2—1

ფოთის ქალაქის გამგეობა

ეძებს ქალაქის დაბალ სკოლებისთვის.

ინსტრუქტორს

თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე. მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს მომავალ მუშაობის გეგმა cuppicutum vitae და პედაგოგიური სტაჟი. ჯამაგირი 18.000 მანეთი თვეში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა 15 ნოემბერი.

3602 2—1

ფოთის ქალაქის გამგეობა
ყიდის

ორტესებრ რკინის კოჭებს „14“ სიმაღლით 11 არშ. 10 ვერშ. და 10 არშინიანებს, წონით 2000 ფუთამდე და სახელსაწყო ფოლადს $^1/_4$—$1^1/_4$ დიუმ. წონით 100 ფ.

3510 3—3

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 396.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა საპყრობილეთა ინსპექტორი ალექსანდრე სვიმონის ძე ყიფიანი ა. წ. ნოემბრის 7-დან.

№ 397.

დაინიშნოს: საპყრობილეთა ინსპექტორად ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი სვიმონ ივანეს ძე ჯორბენაძე ა. წ. ნოემბრის 7-დან.

№ 400.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ბორჯომის უბნის გამომძიებლის თ. ა. კონსტანტინე ვასილის ძე მელვინეთ-უხუცესი ა. წ. ნოემბრის 6-დან.

№ 402.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სვანეთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი მანასე მელიტონის ძე ჭეიშვილი ა. წ. სექტემბრის 12-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

5 ნოემბერი, 1920 წ., № 63.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მზრუნველობის განყოფილების უფროსი კონსტანტინე ყარამანის ძე ნანეიშვილი, აღნიშნულ განყოფილების გაუქმების გამო განსაკუთრებულ მონდობილობათა მოხელეთ ადმინისტრაციის ინსპექტორთან 1 ამა ნოემბრიდან.

შტატს გარეშე დატოვებულ იქმნენ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით მთავრობის დაწესებულებებში შტატების შემცირების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ადმინისტრაციის ინსპექტორის კანცელარიის საქმის მწარმოებელი დავით გიორგის ძე ცერცვაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმისმწარმოებელის თანაშემწე სერგო ანტონის ძე ბახტაძე, საერთო წესით და სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით, ორივენი ამა წლის 1 ნოემბრიდან.

8 ნოემბერი, 1920 წ., № 65.

დათხოვნილ არიან: ადმინისტრაციის ინსპექტორის ქუთაისის თანაშემწის კანცელარიის მოხელენი: საქმის მწარმოებელი ა. ახობაძე, კანცელარიის მოხელენი ი. ქავთარაძე და ი. სვანიძე, მანქანაზე მომუშავე ე. ცაგარლისა და შიკრიკი ყურჭუმელია პირველი მათგანი ბათომის საგანგებო კომისარიატში ეპზეკუტორად გადასვლის გამო ამა წლის 1 ოქტომბრიდან, ხოლო დანარჩენნი კი თანახმად მათი თხოვნისა ამა წლის 1 ნოემბრიდან.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრისა.

7 ნოემბერი, 1920 წ., № 64.

მივემგზავრები რა სამსახურის გამო ბათომის ოლქში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღსრულებას ვანდობ მინისტრის ამხანაგს ნ. ჭიჭინაძეს, ხოლო განათლების—მინისტრის ამხანაგს ნ. ციცკაძეს.

შინაგან საქმეთა და განათლების
მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

მობილიზაცია

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში, მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად გამოაცხადოს ნაწილობრივი

მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი,

დაბადებულნი 1890, 1891, 1892, 1893 წლებში.

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა)

ამა წლის 10 ნოემბერს, დილის 10 საათზედ ჯარში წასასვლელად.

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოცემულ „სამხედრო ბეგრის დებულების“ 33 მუხლის დამატების მიხედვით და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე-3 მუხლი 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობები, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურეზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირნი, რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდებიან გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა.

ამ წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელში) გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდის.

1920 წელი 9 ნოემბერი
დილის 10 საათი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს,

რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად 15 ნოემბრიდან 1920 წ. იწყობა 1900 წელში დაბადებულთა გაწვევა სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

1) 1900 წელში დაბადებულთა შესამოწმებლად თელავის მაზრა გაყოფილია 3 ნაწილად.

1 ნაწილში შედიან წინანდლის, აკურის, ვაჩნაძიანის და ურიათუბნის თემის სოფლები და უნდა გამოცხადდნენ 15 ნოემბერს დილის 8 საათზე.

2 ნაწილში შედიან ქალ. თელავი და კურდღელაურის, რუისპირის, და ზემოხოდაშნის თემის სოფლები და უნდა გამოცხადნენ 18 ნოემბერს დილის 8 საათზე.

3 ნაწილში შედიან ძველ-გავაზის, ახალ-გავაზის, ყვარლის, შილდის, ენისლის, ნაფარეულის, ფშავლის, ქვემო ალვანის და ზემო ალვანის თემის სოფლები და უნდა გამოცხადდნენ 21 ნოემბერს დილის 8 საათზე.

2) ყველა ზემო აღნიშნულ თემთა და თელავის მცხოვრებნი, 1900 წელში დაბადებულნი და მათზე უფროსნიც რომელთაც შარშან ვადა გაუგრძელდათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ნაჩვენებ ვადაზედ მიმღებ კომისიაში ქ. თელავში ერობის სამხედრო განყოფილებაში.

დაწესებულებანი და კერძო პირნი მოვალენი არიან დაუყონებლივ გაანთავისუფლონ გასაწვევი პირნი, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

4) სამხედრო სამსახურში მიღებული ახალ გაზრდანი არავითარ შემთხვევაში სახლებში დათხოვნილნი არ იქნებიან.

5) ერთად-ერთი ოჯახის მარჩენელნი, თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, განთავისუფლებულნი იქნებიან ჯარში გაწვევისაგან ლაშქარში ჩარიცხვით. თუ ისინი წარმოადგენენ 1920 წ. 15 ნოემბრამდე ამის შესახებ მოწმობებს-თელავის სამაზრო ერობის მიერ მიცემულს 15 ნოემბრის შემდეგ შელავათი აღარავის არ მიეცემა.

6) საშუალო სკოლის მოწაფეთ, რომელნიც წარმოადგენენ 15 ნოემბრამდე 1920 წ. სათანადო მოწმობებს სამხედრო ბეგრის ვადა გაუგრძელდებათ 21 წლამდე.

7) ვინც ზემო ნაჩვენებ ვადაზე არ გამოცხადდება მიმღებ კომისიაში, პასუხისგებაში იქნება მიცემული, 1919 წლ. 2 აგვისტოს მიღებულ სამხედრო ბეგრის აღსრულებისა და ამ დანაშაულის დაფარვის წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტის ძალით.

988 3—1

არა ოფიციალური განყოფილება.

დამფუძნებელი კრება

5 ნოემბრის სხდომა.

(გაგრძელება).

ლ. შენგელია. (სოც.-რევ.) მოქალაქენო! საკითხი, რომელიც დღეს ჩვენს წინა სდგას, არ არის ახალი. ჩვენ ხშირათ ვყოფილვართ ასეთ საფრთხის წინაშე ძველათაც. ამ მოვლენამ ქრონიული ხასიათი მიიღო... ასი წლის წინათაც აზიის საფრთხე უპირებდა წალეკვას საქართველოს, მაშინ უკანასკნელმა თავი იხსნა ჩრდილოეთის მფარველობის ქვეშ. ორი წლის წინათ იგივე საფრთხე იყო მის წინ ატეხული. დღესაც ჩვენ ვსდგევართ ოსმალეთის ფაშების საფრთხის წინაშე. აქ ჩვენ შემდეგი უნდა განვაცხადოთ: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ფაშებთან,—აი ჩვენი პოზიცია.

ორატორი ეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს შინაურ ფრონტის სიმტკიცეს საგარეო ფრონტზე გამარჯვების მისაღწევათ და ამბობს:

გარეშე საფრთხისაგან სამშობლოს უზრუნველ-საყოფათ საჭიროა შინ მაგარი ვიყოთ. მაგრამ აქ კატასტროფაა, სადაც დღევანდელი ბთავრობის პოლიტიკამ მიგვიყვანა. შეიცვალება თუ არა ის პოლიტიკა, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა?—ამის იმედი ჩვენ არა გვაქვს. მაშ, სად არის გარანტია იმისა, რომ ჩვენ მტკიცეთ შევებრძოლებით ქარზე მომდგარ საფრთხეს? ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ასეთი გარანტია არ არის.

შემდეგ ორატორი ვრცლათ ეხება მთავრობისა და მმართველ პარტიის საშინაო პოლიტიკას, აღნიშნავს იმ მძიმე, აუტანელ მდგომარეობას, რასაც საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა განიცდის და მოითხოვს უნდობლობა გამოეცხადოს მთავრობას, გადაყენებულ იქნას იგი (ყველა სკამებზე ხმაურობა და სიცილია).

დასასრულ ორატორი მოითხოვს დახმარება აღმოეჩინოს სომხეთს, რითაც კი შესაძლებელი იქნება და გამოსთქვამს რწმენას, რომ დემოკრატია გამარჯვებული გამოვა დღევანდელ განსაცდელიდანაც.

შალ. ნუცუბიძე. (სოც.-ფედ.) ამ უკანასკნელ ხანებში ეს მეორეთ შემოიჭრა ამიერ-კავკასიაში ძალა, რომელიც ფიქრობს ჩვენი ქვეყნის დანგრევას. პირველათ პირველი—ძალა შემოგვესია ერთის მიმართულებით, ახლა მეორე ძალა ჰლამობს შემოგვესიოს მეორე მიმართულებით. ორივე ძალას ერთნაირი მიზნები ამოქმედებდა. მსგავსება ამ ორ ძალას შორის იქნება იმ მხრითაც, რომ შედეგი ამ შემოსევისა იქნება ისეთივე, როგორიც პირველათ: მტერი მოადგება ჩვენ სამშობლოს და საზღვრებზედვე დამარცხებული იქნება.

შემდეგ ორატორი ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბედს, გაკვრით ახასიათებს იმ პოლიტიკურსა და კულტურულს როლს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკა თამაშობს ამიერ კავკასიის ცხოვრებაში და, სხვათა შორის ამბობს—საგნების ლოგიკა მოითხოვს, რომ ცენტრი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა აქ, საქართველოში უნდა იყოს.

ეხება რა სამხრეთის საფრთხეს, ორატორი განაგრძობს: მტერი, რომელიც ჩვენსკენ მოიწევს, არის ბარბაროსული ოსმალეთი. მისი სიწითლე არაფერს ნიშნავს და არც არავის სჯერა. ჩვენ უნდა ვუთხრათ ქართველ ერს სრული სიმართლე, დავუსურათოთ მთელი ის საფრთხე, რაც თან მოჰყვება ამ ბარბაროსულ მტრის შემოსევას. ასეთ დროს უნდა მოსპობილი იქნეს ყველა ის სხვა დასხვაობა, რაც ჩვენს შორის არსებობს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი პარტია მთელ თავის ძალას მიიტანს დემოკრატიულ სამშობლოს დაცვის საქმეზე. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, ვითომც ჩვენი პარტია ხელს იღებდეს ოპოზიციაზე; ჩვენ ბევრი გვაქვს ამ მხრივ სათქმელი სხვა და სხვა შეცდომების შესახებ, რასაც ჩვენ ვხედავთ მთავრობის მოქმედებაში, ჩვენ ბევრი გვაქვს საამისო საბუთები. გვინდა დისონანსი შევიტანოთ მთლიანობაში, თუმცა ვიცით, რომ ბევრი არის შეცდომები და ბოროტ-მოქმედებები.

შემდეგ ორატორმა, წინაღმდეგ დადებულ პირობისა, მაინც ბევრი ილაპარაკა სხვა და სხვა შეცდომებზე და ბოროტ-მოქმედებებზე და დასასრულ შემდეგი განაცხადა: დეე, თქვენ (სოც.-დემოკრატია) დარჩეთ ამ ტახტზე! ქართველი ერი კარზე მომდგარ საფრთხის დროს ერთსულოვნათ უნდა შემოკრბეს, ამ მთავრობის გარშემო და გადასცეს მას მთელი ჯანსაღი ძალები სამშობლოს დასაცავათ.

გრ. ვეშაპელი (ნაციონალისტი). საზოგადოებრივ მოვლენების დაფასების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ ნაციონალისტურ პოლიტიკით და ამ შეხედულებით ვამბობთ: ქემალის ძალა—ნაციონალური ძალა არის. დღემდე ქემალი სევრის ხელშეკრულების წინააღმდეგ იბრძოდა და თავის მოქმედების ასპარეზათ მცირე აზია ჰქონდა გადაქცეული, ებრძოდა საბერძნეთის ჯარსა და სხვ. ახლა ქემალი სომხეთისაკენ წამოვიდა. ჩვენ ამ ძალას ჯერჯერობით არსად არ შევხვედრივართ.

ქემალის მთავრობა და საბჭოთა რუსეთი მოკავშირენი არიან. მაგრამ ეს კავშირი სავსებით ხელოვნურია და იგი დაირღვევა, რაწამს მოკავშირენი ერთმანეთს შეხვდებიან: აქ თავს იჩენს ისტორიული წინააღმდეგობა, რომელიც ყოველთვის არსებობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის და შეტაკება მათ შორის აუცილებელი იქნება. რუსეთი ვერ დაივიწყებს, რა გინდ წითელი და კომუნისტური იყოს იგი,—დარდანელსა და სრუტეებს და მომავალის ასეთ პერსპექტივაში საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის. ოსმალეთის ნამდვილათ გაგებული ინტერესები არაა მიმართული საქართველოს წინააღმდეგ.

გამორკვეული უნდა იქნეს ის მიზნები, რაც ამოძრავებს ოსმალეთს ამიერ-კავკასიაში. ამის გამორკვევა ჩვენ უნდა მოვსთხოვოთ ანგორის მთავრობას. მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩვენ მზათ უნდა შევხვდეთ ყოველგვარ საფრთხეს და ამიტომ უნდა მოვახდინოთ ჩვენი ძალების დარაზმვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამაჰმადიანო საქართველოს. ბათომის ოლქის შემოერთებამდე ჩვენში ბევრს ლაპარაკობდენ სამაჰმად. საქართველოს ავტონომიაზე. შემოერთების შემდეგ ეს თითქოს დავიწყდათ. საჭიროა ამ იდეის განხორციელება. ამ გზით მოვიპოებთ სამაჰმადიანო საქართველოს ერთგულებას, რაც მეტად საჭირო იქნება, თუ საფრთხე აუცილებელი შეიქნა.

მზათ უნდა იყოს საქრისტიანო საქართველოც. თუ ოსმალეთი ვერ შეიგნებს თავის ნამდვილ მიზნებს, მაშინ საფრთხე აუცილებელი იქნება და ჩვენ უნდა მოვახდინოთ ძალთა ყოველგვარი მობილიზაცია.

შემდეგ ორატორი ეხება 1918 წლის ოსმალეთის საფრთხეს, ადარებს დღევანდელს, აღნიშნავს, რომ საქართველო დღეს გაცილებით უფრო ძლიერია ვიდრე მაშინ, და იმედს გამოსთქვამს, რომ, თუ საფრთხე დღესაც აუცილებელი იქნა, ქართველი ერი აქედანაც გამარჯვებული გამოვა.

შემდეგ იწყება კამათი.

(დასასრული იქნება)

მდგომარეობა სომხეთში

(გაზ. „აშხატავორის“ ცნობები).

ალბაბინის თათართა ამბოხება.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ალბაბინის ოლქში ადგილობრივმა მაჰმადიანებმა აჯანყება მოაწყეს სომხეთის წინააღმდეგ. სომხეთის მთავრობის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები ამ ამბოხების ჩასაქრობად.

ქემალისტებინ თავდასხმის გეგმა.

ქემალისტების თავდასხმის გეგმა სომხეთზე ასეთი ყოფილა: ოსმალეთის ტყვეების გადმოცემით მუსტაფა ქემალის განზრახვით უნდა აეღოთ ყარსი, ყარსიდან გუმბრზე წასულიყვნენ და მისულიყვნენ დელიჟანამდის. აქედან კი ოსმალეთის ჯარები შეუერთდებოდნენ ბაქოს კომუნისტებს, შემდეგი საომარი გეგმა ჩაჰბარდებოდა ადერბეიჯანის მთავრობას. ამ რიგად ქემალისტების გულის ზრახვა და წითელ ადერბეიჯანისა ერთი ყოფილა, რომელთა მიზანი ამიერკავკასიის ხალხის დამხობა და განადგურებაა.

გუმბრთან.

გუმბრთან ფრონტი არ წარმოადგენს სწორე ხაზს. ზოგიერთი სომხეთის ჯარების ნაწილის ებრძოდა ოსმალეთის ჯარების ნიწილს-ყარსის-გუმბრის ხაზზე, რომელზედაც სწარმოებდა ნამდვილი საომარი ოპერაციები—სომხეთის ჯარმა წინ წაიწია და ოსმალოები უკუ აგდო. ყარსის აღების შემდეგ, ოსმალეთმა თავის ძალებს კიზილ-ჩახჩახის რაიონში მოუყარა თავი. სომხეთის ჯარის ნაწილებს თავიანთ სარდლის ბრძანებით უნდა დაეტოვებინათ თავიანთი პოზიციები და მტრისთვის მიეცათ ეს ადგილი. ამ აღლუმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთის ჯარისთვის, რომლებიც შემდეგ თავს თაესხნენ ოსმალებს და სასტიკი წინააღმდეგობით უკუ აგდეს. ამ რიგად ოსმალოების ცდა რომ გუმბრი აეღოთ, უნაყოფოთ ჩაიარა.

სომეხთა ლტოლვილები.

სომხეთში შექმნილ მდგომარეობის გამო სომხეთის მცხოვრებნი ბევრნი მიიმალნენ და ლტოლვილთა რიცხვი საგრძნობი შეიქმნა. ყველა ლტოლვილთ წინადადება მიეცათ დაბრუნებულიყვნენ თავთავის ადგილას.

სომხეთის დიპლომატიურ მისიისაგან.

ალექსანდროპოლის რაიონში ჩვენს მარჯვენა ფრონტზე მტრის ძალების გადაჯგუფება შევნიშნეთ- ვართან-კირვალ-ოგუზლის ხაზზე ჩვენ დავიცავით ჩვენი პოზიციები ცხენოსანმა მზვერავებმა ვამოარკვიეს, რომ სოფელ ასტახანსა და ილანოში მტერი არ იმყოფება. შარურში მდინარე არაქსის მიდამოებში თათრები თავს გვესხმიან. ბრძოლა გრძელდება, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

სომხეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება.

ნოემბრის 7 ყარსის დაცემის შემდეგ მტრის გამუდმებული იერიშების გამო ჩვენი ჯარი ნელ-ნელა იხევდა გუმბრისაკენ. გუშინ ნოემბრის ექვს მტერი გუმბრს მოადგა და ქალაქს ეშუქრებოდა, ვინაიდან ერთის მხრივ მტრისაგან საფრთხე გველოდა და მეორეს მხრივ, როგორც ჩვენ ისე ანგორის მთავრობამ გამოსთქვა სურვილი მოლაპარაკების დაწყებისა, ამიტომ ჩვენმა მთავრობამ მიმართა წინადადებით ანგორიის მთავრობას დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკება. მოლაპარაკების ადგილი და დრო ამ დღეებში გამოირკვევა. ამავე დროს ჩვენი და ოსმალეთის ჯარების წარმომადგენლები აწარმოებდენ მოლაპარაკებას დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ. ეს მოლაპარაკება სასურველად დასრულდა და შეთანხმება მოხდა შემდეგ საფუძველზე: 1. ჩვენ დავხევთ ჩვენ ჯარს მდინარე არაპჩაის მარცხენა ნაპირამდი. 2. ოსმალეთის ჯარი დროებით ზავის განმავლობაში იკავებს გუმბრის სიმაგრეს, სადგურს და ქალაქის მახლობელ 10 კილომეტრ ტერიტორიას (9 ვერსი) 3. ოსმალეთის ჯარის უფროსები გარანტიას იძლევიან რომ ქალაქში წესიერებას არ დაარღვევენ, და მცხოვრებლები საფრთხისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან. ამ პირობების თანახმად დღეს ნოემბრის 7 სამხედრო მოქმედება შესწყდა და დღესვე ჩვენი ჯარი საომარ წესების დაცვით აღნიშნულ ადგილებისაკენ უკან იხევს.

ამავე დროს მთავრობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ გუმბრის ქალაქისა, მთავრობისა და თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენელმა წინაღმდეგ მთავრობის განკარგულებისა დასტოვეს თავისი თანამდებობანი და გაიქცნენ, ამიტომ მთავრობა ქალაქის თავად ამტკიცებს მცხოვრებთა მიერ არჩეულს ლეონ სარქისიანს და მასვე ნიშნავს მთავრობის წარმომადგენლად.

მრჩევლებათ ინიშნებიან პარლამენტის წევრი ე. მირაქიანი და გენ. მელიქ-შახნაზარიანი. ამას გარდა მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ დააპატიმრონ და სამართალში მისცენ ყოფილი ქალაქის თავი, ქალაქისა და რკინის გზის მილიციის უფროსები და სხვა თანამდებობის პირნი. მთავრობას იმედი აქვს, რომ დადებულ მოლაპარაკებით სასურველ შედეგს მიაღწევს. ცხადია მოლაპარაკების შედეგი იმდენათ იქნება ჩვენთვის სასურველი, რამდენათაც დიდი იქნება ჩვენი წინააღმდეგობის ძალა. ყოველმა მოქალაქემ უნდა შეიგნოს ეს და დაეხმაროს ჩვენს ჯარს სამშობლოს დაცვაში.

ნოემბრის 8. თანახმად დროებით ზავის პირობებისა ჩვენმა ჯარმა დასტოვა გუმბრი და დაიხია მდინარე არპაჩაის აღმოსავლეთით. ორგოვის მხრიდან ოსმალები სურმალს ზარბაზნებს უშენდნენ, შარურში ჩვენი ჯარები თათრების მიერ შევიწროვების გამო, „ვოლჩი ვოროტისაკენ“ იხევენ. დანარჩენ რაიონში სიწყნარეა.

გუმბრში, სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ პარასკევს მტრის მოახლოვების გამო ქალაქში პანიკა შეიქმნა და ქალაქისა და მთავრობის წარმომადგენლები გაიქცენ. ციხიდან გამოსულმა ტუსაღებმა ქალაქში საბჭოთა მთავრობა გამოაცხადეს, ამის შემდეგ დაიწყო ცარცვა-გლეჯა. თავის ადგილზე დარჩა მილიციის 30 წევრი. შესდგა ქალაქის დამცველი რაზმი, ეხლა ქალაქში სრული სიწყნარეა.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

გერმანელი კომუნიატები და დამოუკიდებელნი.

„ტანი“ იუწყება: თანახმად ბერლინიდან მოსულ ცნობებისა გერმანელ კომუნისტებსა და დამოუკიდებლების შორის ნამდვილი ომი სწარმოებს. კომუნისტები უსტვენენ დამოუკიდებელთა ბელადებს მიტინგებზე. კომუნისტებმა დაადგინეს მოსთხოვონ მთავრობას ჰინდერბურგის და ლიუდენდორფის თავი.

— ბერლინის პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტების საიდუმლო კრება. დაიჭირეს საყურადღებო დოკუმენტები. დააკავეს 25 კაცი.

ინგლისელ მუშებში.

ინგლისის პრესა იუწყება: ინგლისელ მუშებს შორის შენიშნულია რეაქცია ბალშევიკურ-რევოლიუციონურ ტენდენციების წინააღმდეგ. ლონდონში მიმხდარ უკანასკნელ ამბების გავლენით მუშათა პარტიას განზრახვა აქვს ძველ ტრედიუნიონიზმის ტრადიციებს დაუბრუნდეს.

ფილიპ სნოუდენის წერილი.

სტოკჰოლმის გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“-ში ფილიპ სნოუდენის წერილი დაიბეჭდა. ამ წერილს სათაურად აქვს: „კომუნიზმი ინგლისში“. ავტორი, რომელიც წინად დადებითად უყურებდა ბალშევიზმს ეხლა სწერს: სრულიად არ არის მართალი, თითქოს ინგლისში არსებობდეს ტენდენცია პოლიტიკურ, ან ეკონომიურ რევოლიუციისაკენ. კომუნიზმი ინგლისში — ნიშნავს ეგზოტიურ მცენარის მწვრე ნიადაგზე დარგვის ცდას. ბრიტანელი მუშა არ ყოფილა და არც იქნება, თუნდაც რევოლიუციონურ დოგმის და ფორმულის მონაო.

მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში.

ადგილობრივი პრესა ეხება საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ის ამ ჟამად უკიდურეს საშუალებებს მიმართავს. პოლონეთთან ომმა წითელი არმია მეტად დაშალა. ცენტრალურ რუსეთს და ციმბირში ჯარი შეავსეს მწვანე ახალგაზრდებით. ამ წითელ არმიელებს სამხედრო წესები ორ კვირაში შეასწავლეს. საგრძნობი შეიქმნა სამხედრო მასალის სიმცირე. განსაკუთრებით არტილერიაში.

— დანამდვილებით გამოირკვა, რომ მოსკოვში არსებულმა კომუნისტურ პროპაგანდის ბიურომ საზღვარ გარეთ გაგზავნა 15 ათასი ბროშიურა პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიანურ და სხვ. ენებზე. ნაწილი კომუნისტურ ლიტერატურისა ლიტვით იქნა გაგზავნილი და ნაწილიც კამენეც-პოდოლსკით.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ლიონის ცნობა.

ლეიგის პროგრამა.

„პტი პარიზიენი“ იუწყება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან შარლ მორისის ინტერვიუს შესახებ. მიზანი, რომელსაც ისახავს ლეიგი და რომლის აღსრულებასაც ის ორივე პალატის დახმარებით ფიქრობს შემდეგია: ვერსალის ხელშეკრულების აღსრულება, ნაციონალურ შრომის ორგანიზაციისა და საფრანგეთის წარმოების აღორძინება.

„პტი ჟურნალი“-ს ცნობა.

„პტი ჟურნალი“ სწერს: პორტა მოკავშირეთა მიმართ საპასუხო ნოტაში აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მომენტი სევრის ხელშეკრულების სარატიფიკაციოთ ხელსაყრელი არ არის.

ბოლშევიკების ოპერაცია.

ვრანგელის ჯარი ბოლშევიკების შეტევას იგერიებს.

მინისტრთა კრიზისი.

ბელგიაში მინისტრთა კრიზისია. მეფემ წინადადება მისცა ანტვერპენის დეპუტატს და კათოლიკურ პარტიის ბელადს სეჟერ კაბინეტი შეადგინოს.

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციის სხდომა შესდგა ორშაბათს ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით. განიხილეს საკითხი გერმანიის სამხედრო მასალის ლიკვიდაციის შესახებ და მოისმინეს ზარალის ანაზღაურების კომისიისა და საზღვაო ექსპერტებისა მოხსენება დიზელის განადგურების შესახებ. კონფერენციის გადაწყვეტილებას აუწყებენ მოკლე ხანში გერმანიის მთავრობას. ამ სხდომას დაესწრო მარშალი ფოში.

ორშაბათს შესდგა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს სხდომა. მილიერანის თავმჯდომარეობით სენატის არჩევნები იანვრის 9 დაინიშნა.

გერმანული ცნობები.

გაფიცვა ბერლინში.

გუშინ საღამოს ქალაქის ელექტრონის საადგურის კომუნისტთა ბელადებმა მოულოდნელათ გაფიცვა გამოაცხადეს. იმათ ამის შესახებ წინასწარ განცხადება არ გაუკეთებიათ და არც მუშათა საბჭოებიდან გამოუთხოვიათ საამისო ნებართვა. უმრავლესობა გაფიცვის მოწოდებას უნდობლათ შეხვდეროდა, მაგრამ უმცირესობამ თავისი გაიტანა, რამაც გამოიწვია ტრამვაის მოძრაობის შეჩერება, ტელეფონების უმოქმედობა და ქალაქის გაუნათებლობა. ყოველივე ამის გამო საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებებში მუშაობა ძალიან გაძნელდა. მოინდომეს, რომ გაფიცვას შეერთებოდენ წყალსადენის და გემის ქარხნების მუშებიც, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ შარლტენბურგში მოახერხეს. ქალაქის გამგეობას გაფიცულებთან მოლაპარაკება აქვს გამართული. იმედი აქვთ შეთანხმებისა. შეთანხმება თუ არ მოხდა, მაშინ დროებით ამუშავებენ მეორე წყება მუშებს. ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვს და იგი საბჭოთა რუსეთისაგან არის ნაკარნახევი.

შრომის სამინისტროში

შრომის დაჯილდოება.

ნოემბრის 5, შრომის სამინისტროში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ფაბრიკა და ქარხნების საზოგ., ფინანსთა სამინისტროს, ქართულ სატრანსპორტო საზოგად., ქალაქთა კავშირი რკინის გზათა მთავარ სახელოსნოების, ტრამვაის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენელები. გასარჩევი იყო შრომის დაჯილდოვების საკითხი. თათბირმა საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: 1) შრომის დაჯილდოების პროექტი, რომელიც მუშათა და სახელმწიფოებრივ მეურნეობის ინტერესებს იცავს, განხორციელდეს უახლოეს დროში ტფილისის მრეწველობის ყოველ დარგში. გადაწყდა აგრეთვე გასაცნობად და დასკვნის წარმოსადგენად შრომის სამინისტროს პროექტი დაუგზავნონ ყველა დაწესებულებებს და უწყებებს.

ახალი ამბები

✦ **პურის შეხყიდვა.** მომარაგების სამინისტრომ ბათომში შეისყიდა 48 ათასი ფუთი თეთრი პურის ფქვილი. ამ ფქვილიდან 8000 ფუთი უკვე გამოიგზავნა ტფილისს.

✦ **ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლა.** რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა განუცხადა თავის წევრებს, რომ ის პირნი, რომელიც შენიშნულ იქნებიან კომიტეტიდან მიღებულ იაფფასიან შინელის, გიმნასტიორკის, შარვლის და სხვათა გაყიდვასა ან გადაცვლაში დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდანო. რევიზორ ინსტრუქტორებს დაევალათ გააძლიერონ თვალყურის დევნება და თუ ვინმეს ასეთ დანაშაულობაში შენიშვნენ დაუყონებლივ სასურსათო კომიტეტს აცნობონ.

✦ **ხალხების რევიზია.** საშუალო ტექნიკურ სასწავლებელთა გამგე მ. ი. თაქთაქიშვილი სახალხო განათლების მინისტრის მინდობილობით მიემგზავრება ქუთაისს, ბორჯომს და სურამს. მისი მიზანია საშუალო, საერთო განათლების და პროფესიონალურ ტექნიკურ სკოლების რევიზია და გაცნობა.

✦ **ეროვნულ მუზეუმში.** ეროვნულმა მუზეუმმა გამოუშვა სატურინის ნაშრომის მე-2 ტომი კავკასიის ძუძუ მწოვარ ცხოველთა შესახებ. ნაშრომს თანდართული აქვს 34 სურათი.

✦ **ერობათა კავშირში.** ერობათა კავშირის სტატისტიკურმა განყოფილებამ მთავრობის, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებათათვის სხვა და სხვა გაცემულ საქონლის დიაგრამა დაამუშავა. 6 თვის განმავლობაში სულ გაცემულა 53,707,090 მან. ლირებული საქონელი, მათ რიცხვში საერობო დაწესებულებისათვის მიუცია 37,7%, მთავრობის დაწესებულებისათვის 27,8%, ქალაქის თვითმართველობისათვის 4,7% და სხვა. სტატისტიკური განყოფილება აღნიშნავს, რომ კერძო პირთათვის ძლიერ მცირე საქონელი მიუციათ.

✦ **ხიმეხთა ლტოლვილების გამგზავრება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში მიიღო ცნობა, რომ ფოთლის ხიდთან ჩრდილოეთ კავკასიის, ბაქოს და სხვა ადგილებიდან ლტოლვილ სომხების ტრანსპორტი მოვიდაო. ეს ტრანსპორტი სომხეთში ამბების დატრიალების გამო დროებით დაეკავებინა. ლტოლვილთა მდგომარეობის გასაცნობათ ფოთლის ხიდთან გააგზავნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორი ქარცივაძე. ქარცივაძის მოხსენების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოემბრის 8 ლტოლვილებს ნება დართო საქართველოთი სომხეთში გამგზავრებისა.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა, მოისმინეს მოხსენებანი ტექნიკურ და სატყეო განყოფილებათა მოქმედების შესახებ. სატყეო განყოფილებამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გაითვალისწინა რა მან მოსალოდნელი შეშის კრიზისი მიმართა ყველა დაწესებულებას შეეტანათ ავანსად ყოველ საქენზე 1000 მან. შეშის დასამზადებლადო. ბევრი გამოეხმაურა ამ წინადადებას, მაგრამ უდიდესი წარმოებანი გაჩუმდენ, ან და უარი განაცხადეს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით შევდგომოდით მუშაობას და გვემუშავა ისე, რამდენადაც ამის ნებას საკუთარი საშუალებანი გვაძლევდა. მთავარი ყურადღება მივაქციეთ ყარაიაზის რაიონს მაგრამ აქ მძვინვარე ციებ-ცხელება აშინებდა მუშებს და მხოლოდ ახლა - მივიღეთ ნებართვა ნეიტრალურ ზონიდან სომეხ მუშების გამოყვანისა, რომლებიც უფრო მიჩვეულნი არიან აქ მუშაობას. შეშა დამზადებულია მაგრამ წვიმის გამო მისი გამოტანა გაძნელდა. სულ 7.000 კუბიკური საქენი არის დამზადებული, აქედან 3.000 კუბიკური საქენი მუშათა მაგიდას ეკუთვნის. მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ქალაქთა კავშირს თავის წარმოების გასაფართოებლად მთავრობიდან 13 მილ. მან. სესხი მიუღია. მოხსენების შემდეგ დამატებითი განმარტებით გამოვიდა ნ. ელიავა, რომელმაც აღნიშნა რომ ქალაქთა კავშირი შეშის დამზადების საქმეში ყოველგვარი საყვედურებისაგან განთავისუფლებული უნდა იყვესო. შეშა ანგარიშზე არის აღებული შრომის სამინისტროს მიერ. მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: მიიღოს მოხსენება ცნობად. შემდეგ კომიტეტის წევრმა ფალილეევმა კომერციულ განყოფილების შესახებ გააკეთა მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია განყოფილების კრიტიკული მდგომარეობა, რაც გამოიწვია საბრუნავ თანხის უქონლობის გამო სავაჭრო ოპერაციების შემცირებამ, ვალიუტის კურსის აწევამ და სხვამ. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სატრანზიტო ოპერაციების შედეგებს. ამ ოპერაციებმა ტფილისში ხელშესახები შედეგები მოგვცა რაც 1.200.000 მან. წმინდა შემოსავალში გამოიხატება. ქალაქთა კავშირის ტრანსპორტი გაძლიერდა და რესპუბლიკაში ამ დარგის უძლიერეს ორგანიზაციას წარმოადგენს. საექიმო სანიტარულ განყოფილების გამგემ კიკალიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა მონაწილეობა განყოფილებისა, რომელიც მან მიიღო ხოლერასთან და შავჭირთან ბრძოლაში, მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ქალაქი ამ ბრძოლას ინდეფერენტიულად უყურებდაო.

სავაჭრო - სამრეწველო პალატა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მიმართა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შუამდგომლობით დართოს მას ნება უცხო ვალიუტაზე არსებულ კურსის გამოქვეყნებისა, მანამ, სანამ არ იქმნება დამტკიცებული საფონდო ბირჟის წესდება და იგი გახსნილი არ იქნება. პალატა თავის შუამდგომლობას ასაბუთებს მით, რომ მათ ხშირათ მიმართვენ საზოგადოებრივი დაწესებულებანი, სავაჭრო ფირმები და უცხოელთა მისიები თხოვნით აცნობონ მათ ვალიუტაზე არსებული ოფიციალური კურსი.

— ევროპის ბოლოში ევროპაში მიემგზავრება სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტის წევრი გაბაშვილი. მისი მიზანია ევროპის ბაზრებთან დაახლოვება და ეკონომიურ მდგომარეობის გაცნობა.

— სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ბათომის პალატას მიმართა თხოვნით დაუყოვნებლივ აცნობონ მას სია ბათომში და მის ოლქში მყოფ ვაჭართა და მრეწველთა რათა ისინი შეტანილ იქმნენ პალატის მიერ შედგენილ რესპუბლიკის ვაჭრების და მრეწველების სიაში.

— სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გამოუშვა ბიულეტენი ბაზრის ფასებისა ნოემბრის 5 ს. ამ ბიულეტენიდან აშკარავდება, რომ შედარებით 29 ოქტომბერს არსებულ ბაზრის ფასებთან, ფასები შემდეგნაირად შეცვლილა: კახეთის პური გაძვირებულა 200 მანეთით, სიმინდის ფასი შეუცვლელად დარჩენილა, გირვანქა თაფლი გაძვირებულა 20 მანეთით, გირვანქა ლივანის ყავისა გაიაფებულა 50 მანეთით, დაუკლია ფასი აგრეთვე გაუწმენდელ მატყლზე.

მუნიციპალ. ცხოვრება

ლანჩხუთის ქალაქის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

მასწავლებლებს გათბობის, განათების და ბინის მიეცეს თვეში ათასი (1000) მანეთი, წინადადება მიეცეს გამგეობას გამოუცხადოს მოსწავლეების მშობლებს თითო მოსწავლეზე გადაიხადოს 400 მ., რომელი თანხითაც დაკმაყოფილდება მასწავლებლები. მასწავლებლებს ათასი მანეთი მიეცეს პირველ სექტემბრიდან.

— მიეცეს მილიციის უფროს ბინა, გათბობა, განათების თვეში რვაასი (800) მან. პირველ სექტემბრიდან.

— ნაცვლად 25%-ის მომატებისა ქალაქის მოსამსახურეებს მიეცეს ერთდროული ორი ათასი (2000) მან., ჯამაგირი კი რჩება ძველი.

— ქალაქის საბჭომ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ერობის დაწყებულ საქმეში ქალაქის მცხოვრებთა ნატურალურ შრომაში ჩაბმით და სხვ...

— წინადადება მიეცეს გამგეობას დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვა წარმოუდგინოს საბჭოს შემდეგში ხიდეების გაკეთების შესახებ.

— ჩამოერთვას მცხოვრებთ მიწა სამეურნეო სასწავლებლის საჭიროებისთვის: ვისაც რა ხარისხის მიწა ჩამოერთმევა იმისდა მიხედვით მიცეს მიწა ფონდის მიწიდან, რის განხორციელება მიენდოს კომისიას.

— საფუთო გადასახადის 10% მთელი შემოსავლისა მიეცეს რკინის გზის მოსამსახურეს ფულების აკრეფისათვის.

— შეძენილ იქნას გურიის სავაჭრო ბანკის აქციები.

— წარმოდგენილი პროექტი სავსებით მიღებულ იქმნას.

— პირველ დაწყებით და საქალებო სასწავლებლის გამგეს მიეცეს გამგეობისთვის თვიურად ათასი (1000) მანეთი ორი ოთახის გათბობა განათების ფული, რასაც ფაქტიურად გადაიხდის, ფული მიეცეს ქალაქის სალაროდან.

პროვინციის ცხოვრება

სოხუმი.

დამთავრდა ყრილობა აფხაზეთში აგრარულ რეფორმის გამტარებელ მუშაკებისა. ყრილობაზე გამოირკვა, რომ რეფორმის პირველი ნაწილი, რომელიც მიწის კონფისკაციაში გამოიხატება, კარგად ჩატარებულა. გამომუშავდა გეგმა მიწის ღარიბისა და უმიწო გლეხების შორის დაყოფისა. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი აგრარულ რეფორმის გატარების სფეროში მომუშავეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

— ტფილისს გაემგზავრა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია. დელეგაციის მიზანია მთავრობასთან მოლაპარაკება აფხაზეთის კონსტიტუციის შესახებ.

— აფხაზეთის კომისარიატის მიწად-მოქმედების განყოფილებამ სოხუმში გახსნა საოფლო სამეურნეო შკოლა.

ბათომი.

სიმართლეს მოკლებულ ცნობის გამო, რომელიც „ანკონა“ შესახებ გავრცელდა გემის კაპიტანმა კაფიელოსმა ბათომის სავაჭრო ნავთ-სადგურის გამგეს სპრინკველს პრესაში გამოსაქვეყნებლად ოფიციალურად შემდეგი განუცხადა: გემი „ანკონა“ იტალიის სახაზინო რკინის გზებს ეკუთვნის და დატვირთულია საქართველოს კუთვნილ საქონლითო. ეს გემი ბათომამდის არავის არ გაუჩერებია, თუმცა გზაში მას ხვდებოდენ მოკავშირეთა სამხედრო გემები. „ანკონა“ ყოველგვარ ძალდატანების გარეშე შემოვიდა ნავთსადგურში და თანახმად არსებულ წესებისა, განსაზღვრულ დროის განვლის შემდეგ გაჩერდა იმ ადგილას, სადაც შეიძლებოდა მისი გადმოტვირთვა. ფირმის წარმომადგენელები, რომლებმაც დატვირთვეს „ანკონა“ უკვე ასრულებენ მოლაპარაკებას იმ საქონლის ფასების შესახებ. რომლებიც საქართველოს ესაჭიროება. გემის გადმოტვირთვა უახლოეს დროში დაიწყება. ბოროტი ხმები იმის შესახებ, თითქოს ეს საქონელი საბჭოთა რუსეთისათვის ყოფილიყოს გაგზავნილი, მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს. ფირმის და გემის ადმინისტრაციის წარმომადგენელებმა მიმართეს სპრინკვეს შუამდგომლობით, რომ მას უჯრეყო სიმართლეს მოკლებული ცნობები.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 12 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე მიწად-მოქმედების სამინისტროს დავით ხტეფანოვთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

2. საქმე დიმიტრი წიქორიშვილის გივო და სანდრო ლომაძეებთან ფულების თაობაზე.

3. საქმე ივანე ოტიაშვილის გიორგი და ალექსი ხმალაძეებთან დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 4 ნოემბერს,

ყაზბეგიდან—თოფაძეს; ბეშტაშენიდან—მოისეევას; ბორჯომიდან—ჩუბაძეს; თელავიდან—ცხოდიას; ლაგოდეხიდან—ისდანიეს; გორიდან—ყიფშიძეს; გორიდან—კიკნაძეს; გურჯაანიდან—ტაბატაძეს; გურჯაანიდან—ცუპას; ეკატერინოვკიდან—ეირანოვას, ბათომიდან—ლომსიანიძეს; საჯამიასერიდან—ლომსიანიძეს; ფოთიდან—ნაჭყეპიას; ბათომიდან-პოლტარაცკის; ბორჯომიდან—ნოდიას,

7 ნოემბრიდან.

სანაინიდან—შახნაზაროვს; აბასთუმნიდან—მარუტაძეს; თელავიდან—ჭოგდაევს; ბათომიდან—ემელკოვის თეატრი; ყაზბეგიდან—ლევიციგლერს; ეკატერინოვკიდან—მასურაშვილს დუშეთიდან—თიგიშვილს; ნოტანებიდან—ქარხანა „ამხანაგობა“ მცხეთიდან—ხოსროევს სკრიდან—დოლიძეს; სოხუმიდან—ალავერდოვს; სოხუმიდან—ოჩუკავს; გალიდან—ზამაშვილს; სანდარიდან—ბულატნიკს; შორაპნიდან—აბაშიძეს; ბათომიდან—კოტოვსკის;

წერილი რედაქ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ამ რაოდენიმე დღის წინათ მუშათა მაგიდის მიერ გამოცხადებული იყო გვარები იმ პირთა, ვინც ორი ადგილიდან ღებულობდენ პურს. ამ პირთა რიცხვში მეც ვიყავი მოყვანილი. მე ვმსახურებდი ორ ადგილას, ქალაქის თვითმართველობაში და უნივერსიტეტში, მაგრამ პურს ვღებულობდი მხოლოდ ქალაქის გამგეობაში. უნივერსიტეტში კი არც პური და არც სხვა საჭოვაგე, დარიგებული მუშათა მაგიდის მიერ, არას დროს არ მიმიღია. როგორც უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ გამოარკვია, ჩემს მაგიერ სარგებლობდა სხვა პირი, რომლის ვინაობა გამორკვეული იქნება და მისი გვარიც ეცნობება მუშათა მაგიდას პასუხისგებაში მისაცემად. შესაფერი მოწმობა, მიცემული ზემო აღნიშნულ სარევიზიო კომისიის მიერ, უკვე წარვადგინე მუშათა მაგიდაში.

შ. მიქელაძე.

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“

ხ. ჯალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ბანკისა.

II. ბანკის ოპერაციები.

§ 22. თუ მსესხებელმა არ გადაიხადა ვადაზე სესხი, აღებული ბანკში § 13, ბ) მუხლში მოხსენებულ გირაოთი, მეორე დღეს ეგზავნება ბინაზე თვის მიერ ნაჩვენებ მისამართით წინასწარი უწყება, რომ შვიდი დღის შეღავათი. ეძლევა მას დღიდან ვადის გადაცილებისა და ამ ხანში გადახდება პროცენტის მაგიერ ჯარიმა ნახევარი პროცენტი მთლად იმ ფულზე, რაც ვმართა

თუ მსესხებელმა ფული არ შემოიტანა შეღავათად მიცემულ კვირის განმავლობაში, მაშინ იმისი დაგირავებული ფასიანი ქაღალდები, ლითონი და სხვა საქონელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება თვით ბანკში ან ბირჟის მაკლერის შუამავლობით; ასიგნოვკები ოქროს მისაღებად ბანკშივე რჩება, ვიდრე დადგებოდეს ვადა იმ ასიგნოვკებით ფულის მიღებისა ზარაფხანიდან, ან ვიდრე თვით მსესხებელნი გამოისყიდვიან მანამდე, ხოლო ზემოთ ნოხსენებულ ჯარიმის მაგიერ, სახელდობრ ½%, გადახდება შეპირებული პროცენტი დღიდან ვადის დადგომისა ბანკის სესხის გასტუმრებამდე, იმ ვარაუდით, რომ ყოველი უკვე დაწყებული თუთხმეტი დღე ჩათვლილ იქნას ნახევარ თვედ, აგრეთვე ნაანგარიშევი იქნას ხარჯი გაყიდვისა და ამას გარდა კიდევ 2% გადახდეს მთელი ვალისა უპირულობისათვის.

ვადა გადაცილებული ვექსილებით გადახდევინება სწარმოებს საზოგადო წესით.

§ 23. ყოველგვარ სესხის გაცემის დროს ბანკი იძლევა მხოლოდ ნაღდ ფულს და არა სხვა რაიმე ვალდებულების ქაღალდს თავისი თვისისადმი მიმართულს.

§ 24. დებულის ბილეთებს იძლევა ბანკი ბლანკებზე, რომელიც შეიძლება იქნას დაბეჭდილი სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში. ამ ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის მიესჯებათ დამნაშავეთ ისეთივე სასჯელი, როგორც ის დაწესებულია სახელმწიფო ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის.

§ 25. უძრავი ქონება ნება ეძლევა ბანკს შეიძინოს თავისი ბინისა და საწყობისათვის საჭიროებისა და აგრეთვე თავისი განყოფილებების ბინისათვის, აქციონერთა საზოგადო კრების ნებართვით.

ბანკს ნება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძინოს ან გირაოდ აიღოს ბანკის უპირულ მოვალესაგან უძრავი ქონება, რათა მით აიცილოს თავიდან ზარალი იმ ვალის გადაუხდელობით, რომელიც მამულის პატრონს დასდებია. ყიდვა ამისთანა მამულისა, ან გირავნობის ქაღალდის შესრულება შეუძლიან მხოლოდ გამგეობას ერთხმივ გადაწყვეტილებით ბ ბანკის საბჭოს დადასტურებით. გირავნობის ქაღალდი უნდა იყოს ისეთი ვადით, რომ არ აღემატებოდეს, ბანკის მიერ ვექსილების განაღდებისათვის დაწესებულ ვადას. გირავნობის ქაღალდის ვადის გასვლის თანავე, თუ გირაოს პატრონი კვლავ უპირული აღმოჩნდა, ბანკი მოვალეა დაუყონებლივ შეუდგეს ვალის გადახდევინებას გირავნობის ქაღალდის ძალითა: გაყიდვა იმ უძრავ ქონებისა, რომელიკ ბანკს დარჩება საჯარო ვაჭრობაზე, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

§ 26. შეძენა თავის საკუთარი აქციების და აგრეთვე გაცემა სესხის მათის დაგირავებით ბანკისათვის აკრძალულია.

§ 27. დებულზე და მიმდინარე ანგარიშზე ბანკში შეტანილი ფული არ შეიძლება დაკავებულ ან შეკრულ იქნას, თუ არ იმ წესით, რაც განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის წესდებითა და ამგვარ შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს მის მიერ მდებელზე მიცემული ბილეთები და საანგარიშო წიგნაკები.

§ 28. ბანკში წარდგენილი გირაოდ ლითონნი, საქონელი, ასიგნოვკები ოქროს მისაღებად, ვარანტები, კონოსამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორებისა, რკინის გზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა და ყოველგვარი ფასიანი ქაღალდი და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრულ იქნას არავითარ კერძო და სახაზინო გადასახადისათვის და ბანკის მოვალის საკონკურსო ქონებად გადაიქცევს, ვიდრე სულ მთლად არ იქნება გადახდილი ის სესხი, რომელიც მათის გირაოთი გასცა ბანკმა კუთვნილი პროცენტებითა, ჯარიმითა და უპირულობის თანხითა, თუ ვინიცობაა სესხის ვადა განსაზღვრულ დროს გადაცდენილია.

§ 29. რაოდენობა ბანკის ვალდებულებისა არ უნდა აღემატებოდეს ათჯერ მეტი შეერთებულ ძირითადი და სათადარიგო თანხისას.

§ 30. ბანკის თითეულ კლიენტისათვის გადაწყვეტილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილსა ბანკის ძირითად თანხისას.

(გაგრძელება იქნება).

ᲐᲜᲪᲮᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიური საზ. საწევრო წიგნაკი № 9521, ბაგრატ ოქრო. პირის ძე ხონელიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3608 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები იოსებ დავითის ძე მესწვერიშვილის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუს სტრახოვის და დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1916 წ. რეესტრის №№ 105 და 106. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3570 3—2

დაიკარგა პასპორტი № 29212, მიღებული ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოდან 1920 წ. მოწმობა რადიო ტელეგრაფის კურსების დამთავრების ქ. სევასტოპოლში და სხვა საბუთები პროკოფი თედორეს ძე ბერძენიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3571 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 417|390 გიორგი ლომკაციძეს ფირცხალავას სახელზე. ტფ. სამხ. აღრიც უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3574 3—2

ᲐᲮᲚᲘᲗ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ,

რომ კვიტანცია საქონლის ჩაბარებისა, მიცემული რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადობის ტფილისის კანტორის მიერ 2 აგვისტოს 1920 წ. 5882810 №-ით შვიდ ტომარა სინგაურის პილპილზე, წონით 24 ფ. 32 გირვანქა და 110 ტომარა შაქრის ფხვნილზე წონით 319 ფუთზე 33 გირვანქაზე—არის დაკარგული, რომელიც დღიდან ითვლება გაუქმებულად. 3569 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ახალციხის მაზრის უფროსისგან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მარტიროზის ძე ტერ-გრიქუროვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3562 3—3

დაიკარგა ორი აქტი № 25 და 31. 3576 მ. მიღებული ტფ. ქალაქის სასაკლაოდან ალექსანდრე ედიშერის ძე ჭიაურელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3563 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 715 რისკო-რისკინის სახელზე, მიღებული ეკატერინოსლავსკის უნივერსიტეტიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3555 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 607 მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისგან ვალერიან გერასიმეს ძე ცაგარეიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3558 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 165 ოსეფ სარქისას ძე ჯავრიშიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3538 3—3

დაიკარგა სამხედრო ნუსხა კოსტა გაბრიელის ძე ბერიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3548 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 533 არტაშა იაგორის ძე გოგიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3535 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2023 გრიგოლ გრიგოლის ძე კარაკაშიშვილის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3552 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფ. სამმართველოდან და მეტრიკა ანუშავან სუმბათის ძე ზაკოიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3534 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ივანე ალექსის ძე ჩიკულოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 25450 3—3

დაიკარგა პასპორტი გაბრიელ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული საჩხერის ზერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3533 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი სტ. ქალის ნინო დიმიტრის ასული ახვლედიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3581 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3662|57 მიღებული ნავთლუღი-კახეთის უბნის გვარდიის შტაბიდან, წლიური ბილეთი, მიღებული სოფ. მარანის თემის გამგეობიდან, ჯარში ნამსახურობის მოწმობა, პირადობის მოწმობა, მიღებული კახეთის რკ. გზის სამმართველოდან და სასურსათო ბარათი, კახეთის რკ. გზის კოოპერატივის ნოე ივანეს ძე ჯაღარკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3586 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული (პატარა ონის საზოგ.) სოფელ დიდიშის კომისრისაგან. ლავრენტი ფარსადანის ძე ღვდელაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3583 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 45 სიმონ კონსტანტინეს ძე წულუკიძის სახელზე, მიღებული ს. სოზანოს (შორაპნის მაზრა) თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3589 3—1

დაიკარგა პასპორტი № 471 ვასო ივანეს ძე კუმელაშვილის სახელზე, მიღებული გორის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3594 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი რევეკა ბორუხ ბინცეს ასული პოგრებეცკის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. № 2214 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3596 3—1

დაიკარგა პასპორტი ვასილ მოსეს ძე გაბუნიას სახელზე, მიღებული ქუთაისის პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3597 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, მეტრიკული მოწმობა, მიღებული ქუთ. ქალაქის თვითმართველობიდან და კოოპერატივი „მეურნეს“ წევრობის ბარათი არონ რუბენის ძე ელუაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3582 3—1

დაიკარგა უცხადო პასპორტი № 5562 თამარ შიოშის ასული (იგივე სიმონის ასული) ფითოევ იაგულოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3583 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით გეურქას ძე ოთაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3584 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან არშაკ ივანეს ძე მოსესოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3584 3—

დაიკარგა პასპორტი დორა გრიგოლის ასული კუბმარიოვის სახელზე, მიღებული დონის ოლქიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3599 3—1

დაიკარგა მეტრიკა, რეგისტრაციის ბილეთი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მაღაზიის მოწმობა და პარტიული ბილეთი. ალექსანდრე ივანეს ძე აზბაიპარაშვილის (იგივე მეტრეველი) სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3591 3—1

ოფიცერთა ეკონომიურ საზ. ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს

საზოგადოების წევრთ,

რომ ამა წლის 20 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7)

დანიშნულია რწმუნებულთა საერთო კრება.

განსახილველია შემდეგი კითხვა:

1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება

2) მოხსენება საზოგადოების გამგეობის, ზედამხედველი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მდგომარეობის შესახებ მიმდ. წლის განმავლობაში.

3) მიმდინარე საკითხები. 987 3—3

ალგულალის ტყის გამგე აცხადებს,

რომ 21 ნოემბერს 1920 წელს დღის 12 საათზე.

სოფ. ალგულაღში ალგულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

საშეშე და საფიჩხე ტყეზე აგარ. „ორმთაშუიდან მარჯვენა-ალგეთის დაბისა სივრცით 14 დესეტინა ტყეს 116,05 კუბიკური საჟენი რომელიც დაფასებულია 40382 მან. 66 კაპ. და 133 ფიჩხისა დაფასებული 14364 მან.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება ალგულაღის ტყის გამგის სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდი ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—2

ალგულალის ტყის გამგე აცხადებს,

რომ 28 ნოემბერს 1920 წელს დღის 12 საათზე.

სოფ. ალგულაღში ალგულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

საშეშე და სამასალო ტყეზე პრიუტის დაბიდან ალგულალის სატყეოსი გაიყიდება ოთხი დესეტინა ტყე 132,96 კუბიკური საჟენი დაფასებული 105242 მან. 37 კაპ.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება ალგულაღის ტყის გამგის სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდის ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—2

ალგულალის ტყის გამგე აცხადებს,

როს 1920 წელს ნოემბრის 14-ს.

სოფ. ალგულაღში ალგულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

500 მუხის და 500 წიფლის ხეებზე დაბეჭდილი და დანუმრული აგარაკ. „დრანეთში“, „ჯიგრაშენში“, „გუდარეხში“, „ლორისთავში“ და „ციხნარში“, დაფასებული 418531 მან. 56 კაპ.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება ალგულაღის ტყის გამგეს სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდის ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი